



## ინფორმაცია პრესისათვის

№ 01  
2010 წლის 1 თებერვალი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის  
საელჩო  
სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი  
თელავის ქ. 20  
0103 თბილისი  
საქართველო

www.tiflis.diplo.de  
EMAIL [info@tifl.diplo.de](mailto:info@tifl.diplo.de)  
TEL + 995 - 32 - 447 300  
FAX + 995 - 32 - 447 364

### გერმანიის საელჩო მიესალმება სტრატეგიას კონფლიქტური რეგიონების მიმართ

გერმანიის საელჩო მიესალმება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ ახალ სტრატეგიას კონფლიქტური რეგიონების მიმართ, როგორც მნიშვნელოვან ინიციატივას. აღნიშნული სტრატეგია კონსტრუქციული ნაბიჯია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ნდობის მოპოვებისა და ურთიერთობის აღდგენის მიმართულებით.

საელჩო მოუწოდებს კონფლიქტში ჩართულ ყველა მხარეს რეგიონში, დადებითად მიუდგნენ ამ სტრატეგიას. განსაკუთრებით გვსურს გერმანიის მხრიდან გამოვხატოთ თანადგომა საქართველოსა და მისი პარტნიორების მიმართ, რომ მალე შემუშავდეს ურთიერთქმედების ერთობლივი ჩარჩოები, რათა გაადვილდეს კომუნიკაცია და კონტაქტი.

საელჩო დიდი ინტერესით დააკვირდება სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს, რომელიც სტრატეგიის პრაქტიკული განხორციელების კონკრეტულ ღონისძიებებს მოიცავს. გერმანია მზად არის, ხელი შეუწყოს სტრატეგიის განხორციელების მცდელობებს, რათა მიღწეულ იქნას თვალსაჩინო შედეგები.